სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

08 აპრილი, 2026 წ.

ბრძანება №01-12/67

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში
სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“, „ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 04 მარტის №01-10/14 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 23 მარტის №01-10/34 ბრძანებისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 06 აპრილის MES 8 26 0000405772 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2026 წლის 04 მარტის №01-10/14**_ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, 2026 წლის 14 აპრილიდან 2026 წლის 14 ივნისამდე ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორებად **(ანაზღაურების გარეშე)** დაინიშნონ შემდეგი პირები:

ა) **ხატია უმეთაძე (პ/ნ)** - ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი;

ბ) **მარიამ ბერიძე (პ/ნ [redacted]**) - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი;

გ) **როსტომ შამანაძე (პ/ნ [redacted]**) - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი.

დ) **თამარი მაისურაძე (პ/ნ [redacted]**) - ბსუ-ს ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის მეხუთე სასწავლო წლის სტუდენტი.

2. სტაჟიორების სამუშაო განრიგი განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) **პირველი ცვლა** (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 09:00 სთ - 13:00 სთ) მარიამ ბერიძე, თამარ მაისურაძე;

ბ) **მეორე ცვლა** (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 14:00 სთ - 18:00 სთ) როსტომ შამანაძე, ხატია უმეთაძე.

3. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი - ლევან ტარიელაძე და მის მიერ განსაზღვრული დეპარტამენტის პერსონალი.

4. ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსს, დაევალოს არაუგვიანეს 2026 წლის 19 ივნისისა წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და სტაჟიორებს.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**